კლდე

№ 2

23 ენკენისთვე 1912 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ,—5 მან. ამა 1912 წლ. დამლევამდე—1 მან, 50 კაპ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. №3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

6201

ახალი ძალა.

უკამათო საგნად ჩაითვლება ის დებულება, რომ ეროვნულ ორგანიზმის სიმძლავრე და ჯანმრთელობა, დამყარებულია არა მარტო ამა თუ იმ პოლიტიკურ გეგმის აღიარებაზე, არამედ ამ პოლიტიკურ გეგმის კულტურულ ეკონომიურ შინაარსზედაც. თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლა შეუძლებელია და წაგებულია, თუ მას მხარში არ უდგას ძლიერი ეკონომიური ფაქტორები.

როცა საქართველოს მომავალს ვაფიქრდებით არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ იმ ულმობელ სინამდვილეს, რომელიც ყველგან და ყოველთვის ეღობება ქართულ ეროვნულ ცხოვრების აღორძინებას და განვითარებას.

ეს მწარე სინამდვილე—ეკონომიური უძლურება გახლავთ.

უმეტეს ნაწილს,—ქართველ გლეხს, აზნაურს, ვაჭარს, ვექილს, ექიმს და სხ. როგორც საერთოდ მთელ ჩვენ ცხოვრებას, სიღატაკის დაღი აზის.

სიღატაკეში იბადება, ღატაკურად მიჩანჩალებს, ღატაკობაში კვდება.

ეს არის ტრაღედია ქართულ ეროვნულ ცხოვრებისა და ჩვენი პოლიტიკურ ლოზუნგების და გეგმების უძლურებას ეს ტრაღედია უძევს საფუძვლადა დიდი მოვალეობითაა დატვირთული მომავალი თაობა: **მოაშოროს სამშობლო მხარეს ეს საშინელი ტრაღედია.**

მაგრამ რა ძალების საშუალებით? ზემოთა ვსთქვით, რომ ერთ ერთი უმთავრესი ფაქტორი ეროვნულ ორგანიზმის სიძლიერისა არის საღი ეკონომიკა,—მწყობრი კულტურულ-ეკონომიური სისტემა სხვა და სხვა სამეურნეო დარგში. ახალ სამეურნეო ცოდნის და იარაღის გავრცელება ხალხის ფართო წრეებში; რიგზე მოწყობა წვრილი კრედიტისა სოფლად თავის კავშირებით და ყოველგვარ კოოპერატივებით, ამხანაგობა-ასოციაციებით.

ეს ის ძალაა, რომელიც ბადესავით უნდა მოეფინოს ჩვენს ქვეყანას, რომ ეროვნული სიმდიდრე შეჰქმნას. მასთან ერთად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება, რისთვისაც უნდა მოეწყოს დაბა-ქალაქებში სავაჭრო-სამეურნეო და საურთიერთო ბანკები იაფი კრედიტით და დაარსდეს ქართული პროფესიონალური და საკომერციო სასწავლებლები.

აი მოკლედ სასურველი გეგმა ეკონომიურ მოწყობილობისა საქართველოში, რაიც უნდა განიმსჭვალოს ეროვნული მისწრაფე-

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ალ. ი. გრიბოედოვის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი

ბით, რომ მისი მთლიანობა განმტკიცდეს. მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო კოლექტიურ ორგანიზაციებისაკენაა მიქცეული; მხედველობაში გვაქვს ქართული კოოპერატიული დაწესებულებანი.

„ძალა ეკონომიურ ერთობაშია!“ გაისმა ხმა ინგლისიდამ 1844 წ. ქ. როჩდელში და ამ ერთობის საუცხოვო შედეგით როჩდელის პირველ კოოპერატორებმა ნათლად დაუმტკიცეს ქვეყანას, რა ძალა მოსდევს კოოპერატიულ მუშაობას.

„ერთობაშია ძალა!“ მისცეს ხმა გერმანიამ, იტალიამ, საფრანგეთმა, ბელგიამ, დანიამ და გადუშალეს ძველ ევროპიის ისტორიას დიდებული ფურცლები ახალ და მძლავრ ეკონომიურ წესწყობილებისა.

„ერთობაშია ძალა!“ ამაყად გვამცნობენ პატარა დაჩაგრული ერებიც—ჩეხია, პოლონეთი, ფინლიანდია, ლიტვა და გვიშლიან თვალ წინ საუცხოვო სურათს ხალხის გამდიდრებისა და ერის სიმძლავრისას.

„ერთობაშია ძალა!“ მოისმა ჯერ ჯერობით სუსტი ხმა ჩვენს სამშობლოშიაც, მაგრამ მას ჩვენშიაც კი მოჰყვა ᲧᲘᲗ-დე ყოველგვარი კოოპერატიული ორგანიზაცია—საერიდიტო, მომხმარებელი; საწარმოვო და საქონლის გამსაღებელი ამხანაგობანი.

ეს არის ახალი ეკონომიური ძალა ჩვენ ლარიბ მეურნეობაში.

ეს არის ახალი და მძლავრი ნიშანი საქართველოს ეკონომიურ წინსვლისა.

ამიტომ მას უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება ქართველმა დემოკრატიამ, მას უნდა უპატრონოს, გაამაგროს და გააძლიეროს სიტყვით და თავგანწირული მუშაობით.

კოოპერატიულ მოძრაობას ეკონომიურად სუსტ საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ მოძრაობას თან მოჰყვება, ხალხის ქონებრივ სიმდიდრესთან ერთად, მკვიდრი კულტურაც, განათლება და დისციპლინა, რომლის მხრივაც ჩვენი ქვეყანა ძალიან სუსტობს და რომლის მეოხებითაც აღორძინდება ნამდვილი და ჯანსაღი ეროვნული დემოკრატია.

---

* * *

ახლოვდება დრო, როცა ქართველმა ხალხმა უნდა გამოსთქვას არჩევნებით თავისი სურვილი. დიდი მოვალეობა აწევს ამ ხალხს, მაგრამ უფრო დიდი მოვალეობა აწევს იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ მას. რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, სადაც უნდა გაგზავნოს მან თავისი წარმომადგენლები, რასაკვირველია, პანაცეა არ არის, რომელიც გაჰკურნავს ყველა პოლიტიკურ და ეკონომიურ ტკივილებისაგან, მაგრამ რაკი დრო ითხოვს ამას და პარლამენტში დეპუტატის ყოლა მისთვის ერთგვარი სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა, რომელიც ითხოვს მისგან ტაქტსაც და პოლიტიკურ გამჭრიახობასაც, მანაც სავსებით უნდა გამოიჩინოს ეს და უნდა ყველას უჩვენოს თავისი სახე, რომელზედაც მძიმე ნაოჭებით აღბეჭდილი იქმნება ყველა მისი სურვილები. სხვა დროს და სხვა პირობებში უფრო ადვილი იქმნებოდა მისთვის ამ მძიმე მოვალეობის ასრულება, მას შეეძლო უფრო სასტიკად განესაზღვრა თავისი სურვილები, ჩამოეყალიბებინა თავისი პოლიტიკური იდეალი უსრულეს პოლიტიკურ პროგრამად, მაგრამ რამდენადაც მოკლებულია იგი ამ ხელის შემწყობ პირობებს, იმდენად ძნელია მოვალეობა მათი, ვინც სცდილობს ასეთ მძიმე დროს დახმარება გაუწიოს. ასეთ დამხმარე როლს ასრულებენ დღეს ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფები. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ სწორედ ეს გარემოებაა რომ ქართველ ამომრჩეველს ავალებს ფრთხილად მოეკიდოს თავის მოვალეობას.

საჭირო მარტო ის კი არ არის რომ ამომრჩეველი უნდოთ მოეკიდოს სხვა და სხვა კერძო პოლიტიკანებს, რომლებიც ასეთ დროს ყოველთვის თავს წამოჰყოფენ ხოლმე, საჭიროა აგრეთვე ფრთხილად მოეკიდოს თვით ამ პოლიტიკურ ჯგუფებსაც, მიუხედავად მათი პროგრამისა.

ამ მხრივ ადვილად საფიქრებელია, რომ იგი კვლავ გახდება საარჩევნო მასალად იმ პარტიისა, რომლის წარსული პარლამენტარული მოქმედება არ შეეგუება ქართველი ხალხის ინტერესებს. ამის წინააღმდეგ უნდა ამხედრ-

დეს მთელი ჩვენი შეგნება, მთელი ჩვენი ძალა. მეორეს მხრივ ის პოლიტიკური ჯგუფი, რომლის გამარჯვება ჩვენთვის შედარებით უფრო სასურველი იქმნებოდა, არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო იმით, რომ იგი სხვაზედ უფრო მეტად ეგუება თავის ეროვნული პროგრამი ჩვენს საჭიროებას. მარტო ეს არ კმარა. თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ მისწრაფებით იგი მხოლოდ იმდენად უნდა იყოს წრეს გადასული, მომავალ საპარლამენტო მოღვაწეობაში, რამდენადაც ამას მოითხოვს ქართული სინამდვილე. უამისოდ იგიც იმავე უმადურობას დაიმსახურებდა ხალხისას, რომელიც დაიმსახურა აქამდის გაბატონებულმა პარტიამ.

შავი ჯვარი.

მცხეთის დანჯღრეული „ლინეინკა“ მიმარახრახებდა საგურამოსაკენ. სოფლის ოღრო-ჩოღრო გზა ალაგ-ალაგ ქვიან ხევ-ხუვებსა და გორაკებს უხვევდა და „ლინეინკაც“ ზანზარით ხან ჩამაქანებდა ხან ამომაქანებდა. ძლივს ავცოცდით ალმართ ზედ. მაღლობიდ ნ მშვენიერი სურათი გადამეშალა თვალწინ. მწვანე ნაპირებით შემკული კეკლუცი არაგვი ისე მიაქანებდა თავის ბრჭყვიალა ტალღებს, თითქოს ეშურებოდა თავის უფროს მოძმეს— მტკვარს გულში ჩაეკრასო. მდინარის ნაპირზე ამართული ციხე-სიმაგრეები მკაცრად გაჰყურებდნენ და სდარაჯობდნენ არე მარეს.

ფიქრებმა გამიტაცეს...

„ყვაა! ყვაა! ყვაა!“ მოვესმა უეცრად ჩხავილი; მივიხედე. . ელდა მეცა...

ვეებერთელა შავ ჯვარზედ ყვავი იჯდა და საზარლადა სჩხაოდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

„ზაქრო“! შევძახე მეეტლეს, ეს რა ჯვარია, ვის დაუდგამს ეს საშინელი ჯვარი?

— ამ ადგილას მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე... აქ დალია სული და ხალხმა ეს ჯვარი დაუდგა მიპასუხა ზაქრომ.

გადმოვხტი ეტლიდან და აღელვებული მივუახლოვდი ამ საშინელ ალაგს. ყვავი ჩხავილით გაფრინდა.

დავათვალიერე ყურადღებით. უბრალო მუხის კუნძში ჩარჭობილი იყო მაღალი ხის ჯვარი, შავად შეღებილი. ვეძებდი წარწერას: „ქართველმა ხალხმა აუგო ეს შავი ჯვარი თავის დიდებულ მგოსანს იმის სისხლით მორწყულ ადგილას“!

მაგრამ ჩვენება საბედნიეროდ წარწერა არსად სჩანდა. თავჩაღუნული და შეშინებული შევაქერადი ამ შავ ჯვარს—სიმბოლოს ჩვენი გაშავებული და განადგურებული დროისას. ძვრფას მამულიშვილის ხსოვნას სამშობლოში, იმის სისხლით გაჟღენთილ ადგილს ღირსა მხოლოდ შავი ხის ჯვარი დამპალ კუნძზედ!

საბრალო მგოსანი მართალს ამბობდა:

„რად მინდოდა სვლა ქვეყნად,
თუ ეგ ბედი მხვდა ხვედრად?
ვინც კი აგრედ მსვლელია,
შესაბრალებელია“!!..

ეს ადგილი ქართველ ერისათვის წმინდათაწმინდად უნდა ქცეულიყო, უნდა შემკულიყო დიდებული ძეგლით, ყვავილებით, მაგრამ...

ყვაა, ყვაა, ყვაა! ისმოდა შორიდან ყვავს -ხავილი...

ყვავ-ყორნები არ სცილდებიან ქართულ ცხორებას და ეხლაც დაგვჩხავიან და თავში გვირაკუნებენ...

მაგრამ „როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება“?

დავით კახელი.

მიცვალებული.

(გიუ-დე მოპასანისა).

თავდავიწყებით მიყვარდა ისა! საზოგადოდ, რად გიყვარს ხოლმე? განა ღანაური არ არის, როცა მთელ ქვეყნიერებაზე შენთვის მხოლოდ ერთი არსება არსებობს, როცა გულში მხოლოდ ერთი სურვილი გაქვს და პირზე გაკერია მხოლოდ ერთი სახელი, სახელი, რომელიც შენის გულის სიღრმიდან ისე ამოდის შენ ტუჩებზე, როგორც ღრმა წყაროს წყალი ზედაპირზე, სახელი, რომელსაც როგორც ლოცვას, ისე იმეორებ ყოველგან განუწყვეტელი ბუტბუტით.

მე არ გიამბობთ ჩვენ ისტორიას, სიყვარულის ისტორიები ყველა ერთია. შემხვდა და შევიყვარე, გათავდა და მორჩა. მთელი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი მისი ალერსით, ხვევნით,

შემოხედვით და სიტყვებით. ვიყავ მთლად შებოჭილი, დამონებული ყველა იმითი, რაც კი იმისგან იფინებოდა. იმდენად გატაცებული ვიყავ, რომ აღარც დღე ვიცოდი, აღარც ღამე; არ ვიცოდი ცოცხალი ვიყავ თუ მკვდარი, ვიმყოფებოდი ჩვენ ძველ ცოდომილ ვარსკვლავზე თუ სხვა ადგილას.

ვნახოთ და გარდაიცვალა. რანაირად მოხდა ესა? არ ვიცი, არ მახსოვს.

ერთხელ საღამოთი წვიმისაგან მთლად თავითფეხებამდე დასველებული დაბრუნდა სახლში და მეორე დღეს ხველა დააწყებინა. ერთი კვირის განმავლობაში სულ ახველებდა. ჩაწვა ლოგინში.

რა მოხდა? აღარც კი მახსოვს.

მოდიოდნენ ექიმები, რაღაცას სწერდნენ და ისევ მიდიოდნენ. მოჰქონდათ წამლები; რომელიღაც ქალი ასმევდა. ხელები თბილი ჰქონდა, შუბლი ცხელი და ტენიანი, თვალები მოკრიალებული და სევდიანი. ველაპარაკებოდი, პასუხს მაძლევდა. რას ვეუბნებოდით ერთმანეთს აღარ მახსოვს. ყველაფერი დამავიწყდა, ყველაფერი! გარდაიცვალა, კარგად მახსოვს მისი პატარა, სუსტი ამოოხვრა. „ახ!“ წამოიძახა მომვლელმა ქალმა, და ყველაფერს მივხვდი.

მეტი აღარაფერი ვიცი, აღარაფერი. დავინახე მღვდელი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვები, თქვენი სატრფოვო. ეს სიტყვები ცხედრისათვის შეურაცხყოფად მივიღე, რადგანაც ის მოკვდა, მღვდელს უფლება არა ჰქონდა სცოდნოდა ესა და ამიტომ გავაგდე. მოვიდა მეორე, რომელიც ძლიერ კეთილი და ალერსიანი იყო. მე ვსტიროდი, როცა ეს ადამიანი ლაპარაკობდა ჩემ მიცვალებულზე.

ათასს წვრილმან საქმეს მეკითხებოდნენ დასაფლავების შესახებ. არაფერი მახსოვს. კუბო, ჩაქუჩის კაკუნი და კუბოს დალურსმვა კი კარგა მახსოვს. ოხ, ღმერთო, ღმერთო!

ის დამარხეს! დამარხეს იმ ღრმა ორმოში! მოვიდა რამდენიმე პირი, ნაცნობი, მეგობარი. მე გავიქეცი. დიდხანს დავრბოდი ქუჩა ქუჩა. ბოლოს, როგორც იყო, შინ მოვედი. მეორე დღეს მოგზაურობას შევუდექი.

გზაში პარიზში დავბრუნდი. როცა ისევ დავინახე ჩემი ოთახი, ჩვენი ოთახი, ჩვენი საწოლი, ჩვენი მოწყობილობა, მთელი სახლი, რომელშიაც დარჩა ყველაფერი ის, რაც კი ცხოვრებისაგან რჩება ხოლმე ცოცხალ არსებას სიკვდილის შემდეგ, მე ისევ ისეთმა ღრმა და ძლიერმა მწუხარებამ შემიპყრო, რომ ცოტა გაწყდა ფანჯარა არ გავაღე და არ გადავარდი ქუჩაში. ვიგრძენ, რომ შეუძლებელი იყო ჩემი დარჩენა ყველა ამ ნივთებს შორის, ამ კედლებს შორის, იქ სადაც ისა სცხოვრობდა, სადაც ყოველ ნაჭვრეტში შენახულიყო ათასი ატომი მისი სხეულისა და სულისა. დავსტაცე ჩემ ქუდს ხელი და გავიქეცი. მაგრამ, ჯერ კარს არ მივახლოებოდი, რომ უცბად ტალანში დიდ სარკესთან მომეხდა გავლა. ეს სარკე განსვენებულმა განგებ დაადგმევინა ამ ადგილს; უნდოდა, როცა ქუჩაში გასვლას დააპირებდა მუდამ დღე ეთვალიერებინა თავისი თავი თავიდან ფეხებამდე და დარწმუნებულიყო, რიგზე იყო თუ არა და წესზე მთელი მისი მორთულობა, ლამაზი იყო თუ არა ფეხსაცმელებიდან დაწყებული თმებამდე. ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე ამ სარკეში მისი ანარეკლი; ისე ხშირად, რომ ეხლაც კი მომეჩვენა, ვითომ მასში შენახულიყოს განსვენებულის სახე. გაკვირვებული გავჩერდი სარკის წინ, მთლად აკანკალებულმა მივაპყარ თვალები პრტყელს, ღრმას, ცარიელს მინას, რომელიც ოდესღაც არა ჩემზე ნაკლებ, არა ნაკლებ ჩემ ვნებით სავსე თვალზე ეუფლებოდა განსვენებულს. ასე მეგონა, მიყვარს ეს სარკე-მეთქი; დავაკარე ხელი, ცივი იყო! ოჰ, მოგონებანო, მოგონებანო! ეს მოწამებრივი სარკე, მწვავე სარკე, ცოცხალი, საშინელი, რომელიც ძალზე იწვევდა ჩემში ყველა ამ ტანჯვას, ცივი იყო! ბედნიერია ის ადამიანი, რომლის გულიც, ამ მინის მგზავსად ისლეტავს და აკრობს ყველა ანარეკლს, ივიწყებს ყველაფერს, რაც კი ჰქონია ხელში, რასაც კი გაუვლია მის წინ, ყველაფერს, რაც თავისი თავით დამტკბარა, ყველაფერს, რაც მასში ანარეკლებულა თავის ერთგულებით და თავისი სიყვარულით!

ღმერთო, რა ძლიერ ვიტანჯები!

გამოვედი ქუჩაში და სრულიად, ჩემდა შეუგნებლად და უნებურად, გავემართე სასაფლაოსაკენ.

მოვძებნე განსვენებულის საფლავი, უბრალო და მორიდებული, შემკული მარტო მარმარილოს ჯვრითა. „უყვარდა და მოკვდა“—ეწერა ჯვარზე.

ამ ქვის ქვეშ იწვა ის და ლპებოდა! რა საშინელებაა! დავანდე მიწას თავი და ამოვუშვი ქვითინი.

დიდხანს ვიწექი ასე. დიდხანს. ბოლოს შევამჩიე რომ საღამო ახლოვდებოდა. უცნაურმა, უგუნურმა სურვილმა შემიპყრო: მოვინდომე მის გვერდით ღამის გატარება; მსურდა უკანასკნელი

ღამე გამომეტირა მის საფლავზე. მაგრამ თუ შეშამჩნეოდნენ, გამაგდებდნენ. როგორ მოვქცეულიყავ? ხრიკს მივმართე. წამოვდექი და დავიწყე ამ სამუდამოდ გამქრალთ ქალაქში აქეთ-იქით ფარფატი. მივდიოდი სულ წინ და მივდიოდი. მაგრამ, რა პატარაა ეს ქალაქი შედარებით იმასთან, რომელშიაც სცხოვრობენ! მიუხედავთ იმისა ესენი, ეს მიცვალებულნი უფრო მეტნი არიან, ვიდრემ ცოცხლები. ჩვენთვის საჭიროა მაღალი სახლები, ქუჩები, საჭიროა დიდი, დიდი ადგილი იმ ოთხი თაობის ადამიანებისათვის, რომლებიც სცხოვრობენ ერთ და იმავე დროს, სვამენ წყალსა ერთი და იმავე წყაროსას, ღვინოს ერთი და იგივე ვენახისას და სჭამენ ჩვენი მინდვრების პურსა. ყველა გარდაცვლილ თაობისათვის კი, კაცობრიობის მთელი კიბისათვის, რომლის ბოლოც ჩვენ თანამედროვეებამდე აღწევს, არაფერია საჭირო, თითქმის არაფერი ველის გარდა! მიწა ჰნთქავს მათა და დავიწყება აქრობს.

უცბად, დასახლებულ სასაფლაოს ბოლოში ერთი სხვა სასაფლაო შევამჩნიე, უკვე დატოვებული, ძველი, დაქცეული, სადაც ძველი მიცვალებულები მიწად ქცეულიყვნენ კიდეც, სადაც ჯვრებს სიდამპლე მოსდებოდა და სადაც მ.ლე ახლად მიმატებულთ ჩაფლავდნენ. სასაფლაო ასკილებითა და უშველებელ შავი კვიპაროსებით იყო სავსე და წარმოადგენდა მშვენიერ სევდიან ბაღსა, რომელიც ადამიანის სხეულით იყო ნასაზდოვებელი.

სულ მარტოდ-მარტო ვიყავ. მწვანე ხეს ამოვეფარე. მთლად ჩავიმალე მის მსხვილ და შავად გამომცქერალ ტოტებში. როგორც წყალში დამხრჩვალი გემის ნავმსხვრევს, ისე ვეკროდი ხის ღერს და ვიცდიდი.

როცა ღამემ უკვე მოაწია, დავაგდე ჩემი თაკსაფარი და დავიწყე ჩუმი, ყრუ ნელის ნაბიჯით სეირნობა მიცვალებულთა მიწაზე.

დიდხანს, დიდხანს დავდიოდი უგზო-უკვლოდ, დიდხანს. ვერა და ვერ ვიპოვე ის. ხელებგაშლილი, თვალებ გაგანიერებული ვეძებდი საფლავებს, ხან ხელებით, ხან ფეხებით, ხან მუხლებით, ხან მკერდით, თავითაც კი, მივდიოდი წინ და ვერ ვპოულობდი. ვეხებოდი, ვფათურობდი, როგორც ბრმა, რომელიც ეძებს ხოლმე თავის გზას, ვუსვამდი ხელებს ქვებს, ჯვრებს, რკინის მოაჯიოებს, მინისა და დამპკნარ ყვავილების გვირგვინებს! ვუსვამდი ოთებს ასოებს და ისე ვკითხულობდი სახელებს, მაგრამ მაინც ვერ ვპოულობდი. ოჰ, რა ღამე იყო, რა ღამე! მთვარე არსადა სჩანდა! მეშინოდა, აუტანელ შიშს განვიცდიდი ამ ვიწრო ბილიკებ შორის, საფლავების ორ რიგ შუა! საფლავები და საფლავები, ყველგან და ყოველგან საფლავები! მარჯვნივ, მარცხნივ, ჩემ წინ, ჩემ გარშემო—ყველგან და ყოველგან საფლავები!

ერთ მათგანზე ჩამოვჯექი, რადგანაც მუხლები მეკეცებოდა და სიარული აღარ შემეძლო. ჩემ გულს ბაგა ბუგი გაჰქონდა! ამასთან კიდევ რაღაც მესმოდა! სახელდობრ რა? რაღაც გამოურკვეველი ხმაურობა, რომლისათვისაც სახელი არ არის! ვერ გადაეწყვიტა, ეს ხმაურობა ჩემ უგუნურ წარძოდგენაში არსებობდა ახლოლოდ თუ ამ შავ უკუნეთ ღამეში, ამ საიდუმლო და ძკვდოებით ძოდებულ მიწის ქვეშ? მივიხედ-მოვიხედე! რაძდენ ხანს დავყავ აქ, არ ვიცი. ვიყავი მოდუნებული შიშისაგან, გამობრუჟული საშინელებისაგან, ძხად ვიყავ ძეყმუვლნა და მოვმკვდარიყავ შიშით.

უცბად მომეჩვენა, ვითომ მარმარილოს ქვა, რომელზედაც ვიჯექი, ინძრეოდა, თითქოს მაღლა სწევდნენ. ერთი ფეხის დაკვრით ახლო მდებარე საფლავზე გავჩნდი და აშკარად დავინახე, დიახ სრულებით აშკარად დავინახე, როგორ წამოყირავდა ის ქვა, რომელზედაც ეს იყო ვიჯექი; გაჩნდა მკვდარი, შიშველა ჩონჩხი, რომელმაც თავის მოხნექილი ზურგით ქვა იქით გადაადგო. ვხედავდი, სრულებით აშკარად, თუმცა არა ჩვეულებრივი ღამე იყო. ჯვარზე შემეძლო წამეკითხა:

„აქ განისვენებს იაკობ ოლივანტი, რომელიც გარდაიცვალა 51 წლისა. უყვარდა თავისები, იყო ალალიც, კეთილიც და ისე მოკვდა, რომ თავის ღმერთისთვის არ უწყენინებია“. მკვდარმა წაიკითხა წარწერა საფლავზე, მერე აიღო გზიდან პატარა ქვა, პატარა მბვეტიანი ქვა და დაუწყო დაწერილ სიტყვებს შლა. ხელა-ნელა სულ მოსპო წარწერა. ბოლოს დააშტერდა თავის უსინათლო თვალებით იმ ადგილს, სადაც ის იყო სიტყვები ეწერა და ძკლით, რომელიც ოდესღაც სალოკ თითად ჰქონდა, ისე, როგორც სწერენ ხოლმე კედლებზე ასანთით, დასწერა ნათელ ასოებიანი სიტყვები:

„აქ განისვენებს იაკობ ოლივანტი, რომელიც გარდაიცვალა 51 წლისა. თავისი ულძობელობით მოუსწრაფა სიკოცხლე საკუთარ მაძას, რომ მალე მის მკვიდრად გამხდარიყო, დატანჯა თავისი ცოლი, თავისი ბავშვები, ატყუებდა მეზობლებს, იპარავდა, როცა კი შემთხვევა ეძლეოდა და უბედური მოკვდა“.

მკვდარმა გაათავა წერა და სიამოვნებით დაუწყო თვალიერება თავის ნაწარმოვებს. მივიხედე და შევაჩნიე, რომ ყველა საფლავები ახდილიყო, მკვდრები წამომდგარიყვნენ და სინამდვილის აღსადგენად შლიდნენ ცრუ წარწერებს, რომლებიც მათიანებს გეეკეთებინათ საფლავებზე. ვნახე, რომ ყოველი მათგანი ყოფილიყო თავისი მოყვ სის ჯალათი, სავსე სიმძულვარით უპატიოსნო, პირმოთნე, მოშურნე, ცრუ, ცილისმწამებელი. ყველას, ამ კეთილ მამებს, ერთგულ ცოლებს, ერთგულ ვაჟიშვილებს, ამ უმანკო გასათხოვარ ქალებს, ამ ალალ ვაჟრებს,—ყველას ეტყუებინა ხალხი, ამ უმწიკვლო ქალებს და კაცებს ეპარნათ, ეცრუვნათ, ჩაედინათ მთელი რიგი სამარცხვინო და საშინელ საქმეთა.

ყველანი ერთ და იმავე დროს სწერდნენ თავის სამუდამო სავინის ზღრუბლზე ამ ულმობელ, საშინელ, წმიდა სინამდვილეს, რომელიც არავინ იცის, ან კიდევ ისე გიჩვენებს თავს, თითქოს არაფერი იცისო. გავიფიქრე, ისიც დასწერდა-მეთქი ამ ჭეშმარიტებას თავის საფლავზე. და ეხლა კი სრულიად უშიშრად სირბილით გავექანე ამ ღია საფლავისაკენ; ძვდრებს შორის, ჩოხჩხებს შორის, მივისწრაფოდი მისაკენ და დარწმუნებული ვიყავ, რომ მალე ვიპოვიდი. შორიდ-ნკე ვიცანი იგი, თუმცა სახე სუდარით ჰქონდა დაფარული და ვერა ვხედავდი.

მარმარილოს ჯვარზე, სადაც დიდი ხანი არ იყო, რაც წავიკითხე სიტყვები: „უყვარდა და მოკვდაო“, შემდეგი გავარჩიე: „ერთხელ გავიდა გარედ იმ განზრახვით, რომ მოეტყუებინა თავისი მიჯნური, გაცოვდა თავსხმაში და გარდაიცვალა“.

რაღა თქმა უნდა, მეორე დღეს გონება დაკარგულს ამაყენებდნენ საფლავთან დაგდებულს.

ი. სონღულაშვილი.

ჩვენი საქმეები

წერილი II.

დღევანდელი ქართველი საზოგადო მოღვაწე.

უკანასკნელ ხანში, როგორც წინა წერილში ვსთქვით, ჩვენში, შემუშავდა ერთგვარი ტიპი—უმაღლეს სწავლა მიღებული—ინტელიგენტისა, რომელიც სამსახურითა თუ თავისუფალი პროფესიით ლუკმაპურს შოულობს და იმავე დროს ჩვენს საზოგადო საქმეებსაც ემსახურება.

ეს ახალგაზრდა, შეიარაღებული ცოდნითა და სწავლით, პირველ ფეხის ჩამოდგმისათანავე ჩვენში, ებჯევა საზოგადო მოღვაწის ულელში და მზად არის თავისი ძალები შეალიოს საზოგადოების სამსახურს.

იმედი თავის თავისა დიდი აქვს, სხვაც დიდს იმედებს ამყარებს მაზე. თვითონაც და სხვაც არ ზოგავს მის ძალებს. თითქმის ერთ და იგივე დროს ი-ჩევენ მას წევრად ხუთი თუ ექვსი საზოგადოებისა. სხვა და სხვა კომიტეტებისა, კომისიებისა, რედაქციებისა, სხვა და სხვა მიზნით შეძდგარ ჯგუფებისა; ერთის სიტყვით ახალგაზრდა მოღვაწე თავდაყირა ვარდება ცხოვრების მორეკში, მხოლოდ იმიტომ, რომ სურვილი საზოგადო სამსახურისა მეტად დიდი აქვს და მეტად დარწმუნებულია თავის ძალ ღონეში.

მომავალს გაბედულად შეჰყურებს. მიხვრა-მოხვრა, სიარული მისი ენერგიას გამოჰაატავს, თვალგბი უელავს, ნაპერწკლებს ისვრის, მთელი არსებით მიისწრაფვის წინ. შიში, დაბრკოლება მისთვის არ არსებობს.

— ოღონდ, ჩქარა კი!—ჰფიქრობს და სული მისდიხ მალე აჩვენოს თავს თავსაც და სხვასაც რა გასაკვირვალი შედეგი ძოჰყვება მის ძუშაობას.

— მომუშავენი არ ვარგახან, არ იციან საქმე, ადმინისტრატიული ნიჭი არა აქვთ, თორემ... დაიცა, ვნახავთ!...

ნახა თვითონაც და სხვამაც!

სულ არ გასულა ერთი წელი,

გეგონებათ, ნახევარ საუკუნეს გაიარაო!

ხომ მიგიტოვებიათ სადმე ცქრიალა, კოკორი ვარდიკით შეკრული, ნორჩი, ქოხტა გასათხოვარი ქალი და შემდეგ, ათი, თორმეტი წლისა კვლავ გინახავთ ის ხეულ მოშვებული, პირმიმქკნარი, თვალებ მიძკოთალი, უდროოდ დაბერებული, რომლის ნახვა შეგზარავთ და იტყვით: ასეთი გამოცვლა?! ასე მოკლე ხანში!!

ცქრიალა, კოხტა იყო ის გასათხოვარი ქალი მიტომ, რომ მეტად ახალგაზრდა იყო. ხეულის ძარღვები მეტად სუსტი ჰქონია, მათძა ძალამ დიდ ხანს გერ გასტანა, ხუთიოდე წელმა მთლად დაანგრია მისი არსება.

ვერ გაზომა თავის ძალა ჩვენმა ახალგაზრდა მოღვაწემაც. ენერგია ეყო მხოლოდ ერთ წელიწადს. წინად რომ ეკონა მთას მთასა ვსტყორცნიო, ახლა ამ მთისა ეშინიან, მთის ახლოც კი ეღარ უნდა ვავლა. სული დაუბერდა, გული დაუქანა,

ძალა წაერთვა. წინ რომ მიიწევს, ფეხები უკან რჩება, რისი გაკეთებაც წინად ასე ძალიანა ჰსურდა, ღღეს მაზე ლაპარაკიც კი ეზარება. დაიღალა, დაიქანცა; სული მისი დასვენებასა თხოულობს.

— რა? ისა? ეეეჰ

— ვინ? ეეჰ!

— ეეეჰ, ეეეჰ უუუჰ!

აღარაფერი არა სწამს. აღარაგისი არა სჯერა რა.—გათავდა მისი საზოგადო მოღვაწეობა.

მისი მოქმედება ამის შემდეგ იქნება ნაძალადევი, ნაცოდვილები, რაც უფრო ავნებს საქმეს, ვიდრე არგებს, რადგან თავის აპატიასა და სიზარმაცეს ავი სენივით გადასდებს სხვებსაც.

ამ გვარია ღღეს ჩვენი საზოგადო მოღვაწე.

უხასიათოა იგი, რადგან ყველაფერს ეტანება და არც ერთს საქმეს ბოლოს არ მოუღებს.

სულით სუსტია, რადგან ერთი პატარა დაბრკოლება, საქმის ოდნავ შეფერხება მის სულს ძირს დასცემს.

უნებოა, რადგან არ შეუძლიან თავის თავს პატარა ძალა დაატანოს და დაბრკოლებანი გადალახოს.

ზარმაცია, რადგან არც საქმის შესწავლა უნდა და არც მუშაობა.

ამას წინად ერთი ჩემი კარგი მეგობარი შემომჩიოდა: თავის მოკვლა განვიზრახე. განვიზრახე იმიტომ კი არა, რომ უცბად, წუთიერად, ცუდს გუნებაზე დავდექი, ან საქმეები ცუდად წამივიდა, ან უიმედო სიყვარულით შემიყვარდა ვინმე. არა ჩემს ბედს ვერ დავემდურები, თავის მოკვლა განვიზრახე იმიტომ რომ ცხოვრების გზა ასე თუ ისე განვვლე. წინ აღარა დამრჩენია რა. დავიღალე. აღარავითარი ბრძოლა აღარ შემიძლიან. მთელი ჩემი არსება მოსვენებას თხოულობს. სამარე და საუკუნო განსვენება ისე მომწყურდა, როგორც მუშაობისაგან დაღლილს და დაქანცულს ლოგინი და ძილი. განზრახვა ჩემი ჩემი ჭკუისა და გულის განზრახვა იყო. ერთ ღღეს დავაპირე განზრახვის სისრულეში მოყვანა. მოვემზადე. რევოლვერი შევიძინე, წერილები დავსწერე, თავი გამოვიტირე და... ხომ ხადავ, რა კარგადა ვარ! სულმა მიღალატა. ძალა არ მეყო, თითს ვერ დავატანე ძალა, რომ ჩახმახი დაეწია.

ამის შემდეგ კიდევ ბევრჯელ დავაპირე თავის მოკვლა, მაგრამ ამაოდ. ერთხელ ძალზე დავითვერი ამხანაგებში. ვსთქვი, მთვრალი კაცი უფრო გაბედულია მეთქი. ვსვი ბევრი ღვინო და დაღლევა რომ აღარ შემეძლო, ავდექი სუფრიდან და წამოველ სახლში მტკიცედ დარწმუნებული, რომ ყველა იქ მყოფი ამხანაგი, რომელნიც იმ დროს „მრავალ-ჟამიერს“ მღეროდნენ, ხვალ, ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელი, ჩემ კუბოს წინ იდგებიან და ცრემლს დაღვრიან... ღილაზე გამომეღვიძა ლოგინში, ისე როგორც გამოეღვიძება ხოლმე ნალოთარ ადამიანს!...

— ასე ჩემო კარგო! დაიქნია თავი მეგობარმა.

ახლა გინდა შემდეგი გაიგო? არც წინად მიყვარდა მაინც და მაინც ჩემი თავი, მაგრამ ამ ღღეიდან სულ შემძულდა, შემძაგდა, ვაფურთხებ ჩემს თავს!

— რა კაცი ვარ? გულითადი სურვილი სისრულეში ვერ მოვიყვანე! რა საქმის გაკეთება შემიძლიან ცხოვრებაში, თუ იმდენი ძალა არა მაქვს, რევოლვერის ჩახმახი დავაცემინო!

— ახლა სხვა აღარა დამრჩენია რა, ვიჯდე და ვუკადო, როდის დამეტაკება ან ხორველა, ან შავი ჭირი, ან როდის მომკლავს ვინმე!...

ამ აღსარებაში იხატება მთლად ღღევანდელი ქართველი ინტელიგენტის პიროვნება.

ჩემმა მეგობარმა სულ ოცდა ათი წელიწადი იღოღიალა ცხოვრებაში და... დაიღალა. ნეტავი ემუშავნა, გაეკეთებინა რამე, კიდევ იტყოდა ადამიანი იმუშავა და დაიღალაო. მაგრამ ისეთი რომ არაფერი უკეთებია! მაშ რამ დაღალა?

უხასიათობამ, სულის სისუსტემ და სიზარმაცემ!

— არა ჭღირს ცხოვრება!—სწყვეტს ის გუნიბაში, რადგან ცხოვრებაში მუშაობა უნდა, მუშაობა კი ეზარება. მუშაობა კი არა, რომ სირცხვილი და დასაძრახისი არ იყოს, ტანთაც არ ჩაიცვამს, მოწონების სურვილი რომ არა ჰქონდეს, პირსაც არ დაიბანს.

ის პატარა დიოგენია: ბოჩკა, კუჭის საზრდო და ფილოსოფიური სჯა-ბაასი ბუნებასა, ადამიანსა და ცხოვრებაზე...

ღღევანდელ ჩვენ საზოგადო მოღვაწეს ნათლად ემჩნევა სხვათა შორის აზრისა და საქმის დაფანტულობა.

ვერ გაჩერებულა ერთ აზრზე, ვერ დამდგარა ერთ საქმეზე.

ბევრს ჩვენში მიუღია სპეციალური სწავლა განათლება და იმის მაგივრად, რომ თავისი ცოდნა სპეციალურს თავის საქმეს მოახმაროს, ცხოვ-

რებაში ირჩევს ისეთს გზას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მის ცოდნასთან. ხშირად მისი ცოდნა და მის მიერ არჩეული გზა ერთიერთმანეთს ეწინააღმდეგება. კიდევ არაფერი, თუ ცხოვრებაში ამოირჩია ერთი გზა და ამ გზაზე სიარულს მტკიცედ შეუდგა. არა, ხშირად, ამ გზასა სტოვებს და სხვა გზით იწყებს სვლასა. ხშირად ორი სამი გზით დადის. ერთ გზაზე გადასდგამს რამდენიმე ნაბიჯს უკან გამოტრიალდება. მეორეზე გაივლის, მესამეზე, შემდეგ ისევ პირველ გზას დაუბრუნდება და ამ გვარად დაჰხტის კაკაკივით ხიდან ხეზე უაზროდ და უნაყოფოდ.

აბა, გაიხსენერ თ ვენი ნაცნობი ქართველი ვექილები, ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები და სხვა. რომელი მათგანი სწავლობს თავის საგანს ან თეორეტიულად ან პრაქტიკულად. რაც ისწავლა, (ანუ ისწავლა!) უნივერსიტეტში. იმაზე გაჩერდა და წინ აღარ მიდის.

ან რომელი მათგანი კმაყოფილდება თავისი პროფესიით და სხვა საქმეს არ ეტანება? ვექილი ექიმობს, ექიმი ფინანსისტობს, მასწავლებელი ინჟინრობს, ინჟინერი ისტორიკოსობს. ერთი სიტყვით მექადე ჯღანავს წუღებსა და ფინაჩი აცხობს ქადებსა.

არც ერთი მათგანი, ვიმეორებ, მტკიცედ არ ადგია თავის სპეციალურ საგანს და არ მიდის პროგრესის გზით. არც ერთს მათგანს, როგორც სპეციალისტს, სარგებლობა არ მოაქვს საზოგადოებისთვის. არც ერთს მათგანს თავის სპეციალურ საგნის თვალსაზრისით არ შეუსწავლია ჩვენი უწინდელი, ან დღევანდელი ცხოვრება, ჩვენი მიწაწყალი, ჩვენი ბუნება და თავისებურობა. არც ერთი მათგანი არ დახმარებია საზოგადოებას თავისი ცოდნით ან სიტყვით, ან კალმით, ან საქმით.

ვექილი თავისთვის ვექილობს, ექიმი ექიმობს და მათი საზოგადო მოღვაწეობა გამოიხატება იმაში, რომ ყველა საზოგადოებაში წევრად ჩაეწერება, კრებაზე უშნოდ ორატორობს, წელიწადში ერთხელ გაზეთში ვისმე, ან რასმე გალანძღავს და თავის თავს ადარებს სხვა ქვეყნების საუკეთესო საზოგადო მოღვაწეებს.

ასე არ სჩადიოდნენ უწინდელი ჩვენი საზოგადო მოღვაწენი. იაკობ გოგებაშვილი ჩვენ ეარის დიდი კაცი, რომ ცხოვრებაში ერთი საქმე აირჩია, დღითი დღე სდია ამ საქმეს შეუპოვრად, ჯიუტურად მუშაობდა ზედ და კიდეც დაიმონავა, გაბატონდა ამ საქმეზე, კიდეც დაამჩნია დიდი კვალი ჩვენს ცხოვრებაში.

და სანამ იაკობ გოგებაშვილისთანა მუშაკს არ მივბაძავთ, სანამ ჩვენს სურვილებს არ შევამოკლებთ, ჩვენი ძალთა მიხედვით არ ვიმუშავებთ, ერთ გზას არ ვირჩევთ და ამ გზით მედგრად და შეუპოვრად არ ვივლით, მინამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დღევანდელივით იქნება მიძინებული და, ვაი თუ ეს ძილი სიკვდილად იქცეს.

ერთი იმედი და გვაქვს დღეს.

ამ გვარ მუშაკთა მოახლოვების ფეხის ხმა მოისმის...

მაგრამ იმათზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევად მიგვაჩნია...

მოვიცადოთ და ვნახოთ, შეუხვევენ არჩეულ გზიდან, თუ სულის სიმტკიცეს გამოიჩენენ და თავიანთ მიზანთა განსახორციელებლად სძლევენ თავიანთ თავსაც და იმ აუარებელ დაბრკოლებათაც, რომელიც მათ ხშირად გადაეღობება წინ მომავალში.

მეგობარი.

პეტრე გაგრატიონი.

(1765—1812).

II

საქართველოსთვის მეთვრამეტე საუკუნე დაუსრულებელი ქარ-ბუქი და კორიანტელი იყო. ძლიერი შემზარავი ქარიშხალი ხან ერთს კლდეს მიაჯახებდა პატარა საქრისტიანო ქვეყანას, ხან მეორეს. მშიერი და მტაცებელი დაღესტანი, პოლიტიკურად უკვე გახრწნილი, დაღლილი და მოქანცული, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენზედ ძლიერი ირანი და კულტურის ნიშან-წყალს მოკლებული ოსმალეთი მსუნაგ მგლებსავით უდარაჯებდნენ საქართველოს სამის მხრიდან და ამტუტებდნენ ქვეყანას. საქართველო ძალ ღონიდან იცლებოდა და ჰკარგავდა ნელ-ნელა და ნაწილ-ნაწილად საუკეთესო პროვინციებს.

ევროპას და მის კულტურას მოწყვეტილი საქართველო, დანაწილებული და დაქუცმაცებული შინ მრავალ-მეფობით და მთავრობით, გულს მაინც არ იტეხდა, ომობდა და იბრძოდა პოლიტიკურ თვით-არსებობისთვის, რომელიც ასე ტკბილი და სანუკვარია ყოველი ერისათვის. ხან ონავარს და შეუპოვარს დაღესტანს მიუხტებოდა და ავარიის შუაგულამდე ადიოდა ცეცხლითა და მახვილით, ხან ოსმალეთს ეძგერებოდა და ხშირად ისე თამამ-

დეᲦოდა, რომ ყარსის ციხემდის აღწევდა მისი მხედრობა. მაგრამ ასეთი თარეშობა სათვალავში არც-კია ჩასაგდები შედარებით იმ საკვირველებასთან, რაც მეფე ერეკლემ ჩაიდინა. ბუმბერაზ ირანს პატარა კახმა ორი სახანო წაართვა—განჯისა და ერევნისა, ხარკი დაადო და ყმად გაიხადა.

მიუხედავად ასეთის ბრწყინვალე გამარჯვებისა ჟამ-ჟამობით სამის მხრიდან შემომდგარ მტერზე, საქართველო ვერ გაუძლებდა განუწყვეტელ ხეთქ-ბა-ზანზარს, თავისუფლად დიდ ხანს ვეღარ იბოგინებდა და ადრე თუ გვიან პოლიტიკურ თავისუფლებას დაჰკარგავდა. ამას კარგად ჰხედავდა გონიერი და ნიჭიერი მეფე ერეკლე მეორე და ზურგის მოსამაგრებლად იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს შეეკრა 1783 წელს საერთაშორისო ტრაქტატით ქ. გეორგიევსკში. სამწუხაროდ და საუბედუროდ ამ ტრაქტატმა სიკეთის მაგიერ ზარალი და ზიანი მიაყენა საქართველოს. როგორც ოსმალეთი, ისე სპარსეთი ცეცხლს აფრქვევდნენ სიბრაზისაგან, როგორ თუ გურჯისტანმა მამა-პაპათა ნაანდერძევ პოლიტიკას უღალატა და ჩვენსა და მის შორის შინაურ საქმეებში რუსეთი გაურიაო. ჯავრის ამოსაყრელად ცნობილი საჟურისი აღა-მამედ-ხანი შემოესია საქართველოს 1795 წ. და სატახტო ქალაქი თბილისი დასწვა და ააოხრა. რუსეთი 1783 წლის ტრაქტატის ძალით მოვალე იყო დროზედ ჯარით მოშველებოდა საქართველოს, მაგრამ საშველად ხელიც არ გაანძრია. ანანურის გზით ორი ბატალიონი მაშინ მოვიდა, როცა აღა-მამედ-ხანი აიყარა, საქართველოს მოშორდა და განჯის სახანოში დაბანაკდა.

უარესი ბედი დაემართა ერეკლეზე ადრე ქართლის მეფეს ვახტანგ მეექვსეს. პეტრე დიდმა განიზრახა ლაშქრობა 1722 წელს სპარსეთზე და ვახტანგს შემოუთვალა—კავშირი შეკრათ და შეერთებული ძალით ნაცარ-ტუტა ვადინოთო. ვახტანგი სიხარულით ცას დაეწია, ასეთი წინადადება რომ მოისმინა რუსეთის იმპრატორ პეტრე დიდისა. უკეთეს მოკავშირეს აბა სად იშოვნიდა ვახტანგი სპარსეთის ზვიადობის დასამცირებლად. სპარსეთი ხომ ისტორიული მტერი იყო პატარა საქრისტიანო საქართველოსი, რომელმაც სისხლიდან დაგვცალა და პოლიტიკურ არსებობის ნიათი გამოგვილია და ბოლოს, თვით ნიათ გამოლეული, დღეს სხვათა ხელში პამპულად და ტაკი-მასხარად გახდა.

ვახტანგ VI ოცდა ათი ათასის რჩეულის ჯარით გაემართა საბრძოლველად და დაბანაკდა შამახიაში. აქ ელოდა პეტრე დიდს დარუბანდიდან. მოლოდინი გაუცრუვდა ვახტანგს, პეტრე დიდმა ვერ გაბედა ამ ჟამად ომი სპარსეთთან, აიყარა დარუბანდიდან და დაბრუნდა ჯერ ამტარხანს და იქიდან შინ პეტერბურგს. დარჩა სახტად ვახტანგი მოკავშირის ღალატით, მაგრამ რას იზამდა. უიღბლო მეფე, ლიტერატორი და კანონმდებელი მოულოდნელად გაება პოლიტიკის ბლანდებში და არ იცოდა, რა ექნა. საუკუნო მტერი პეტრე დიდთან კავშირით უზომოდ გააბრაზა და სარფა კი ვერაფერი მოუტანა საქართველოს. დაღონებულ-დამმარებული, გულდაკოდილი მეფე აიყარა შამახიიდან და საქართველოს დაბრუნდა. ვახტანგი იმის მოლოდინში ღა იყო, რომ სპარსეთი კავშირსა და ღალატს არ, მაპატიებს, ქვეყანას წამიხდენს და მეც ხეირს არ დამაყრისო.

მთელი ორი საუკუნე: მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე, ოსმალეთი და სპარსეთი სისხლს უშრობდნენ საქართველოს, რომელმაც რუსეთს დაუწყო ლაქუცი და ზურგი შეაქცია თეირანსა და სტამბოლს. პეტერბურგისა და მოსკოვისაკენ ცქერას რასაკვირველია არ აპატიებდნენ საქართველოს და ვიდრე ძალ-ღონე შესწევდათ ანგარიშსა სთხოვდნენ და ხან ერთი შემოესეოდა ქვეყანას, ხან მეორე, ხან-კი ორივენი ერთად. პეტრესთან სამხედრო კავშირს ვერც ერთი მათგანი ვერ აპატიებდა ვახტანგს, რადგან მათს თვალში საქციელი საქართველოს მეფისა ღალატი იყო და ღალატისათვის ხომ მუდამ სჯიან, ვინც უნდა იყოს მოღალატე, მეფე თუ უბრალო მომაკვდავი.

ვიდრე სპარსეთის შაჰი პასუხს მოსთხოვდა ვახტანგ VI-ეს, ოსმალეთმა ხანი აღარ ახანა და შემოესია საქართველოს. მტრის ჯარმა დაიპყრა ყარსი, აიღო თბილისი, შამახა და ერევანი. ვახტანგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქართლი, სამეფო ტახტი და გარდახვეწილიყო იმერეთს. პეტრე დიდის მოულოდნელად გაბრუნების მიზეზი დარუბანდიდან სხვათა შორის იყო ოსმალეთის შემოსევა საქართველოში ყარსიდან. ოსმალეთი პეტრე დიდსაც ემუქრებოდა—ომს გამოგიცხადებ, თუ საქართველოზე ხელს არ აიღებ და სპარსეთისაკენ გიწევო. ამის გამო პეტრე დიდმა ამ ჟამად უარი სთქვა სპარსეთისაკენ გალაშქრებაზე და ისე სწრაფად აიყარა დარუბანდიდან, რომ სრულიად დაავიწყდა თვისი ერთგული მოკავშირე ვახტანგ VI, შამახაში რომ ჯარით ელოდა. 1724 წელს ოსმა-

ლეთმა ხელშეკრულობა დასდო პეტრე დიდთან. ამ ხელშეკრულობის ძალით ოსმალეთს ერგო საქართველო და ყველა ის ქალაქები ამიერ-კავკასიაში, როძელიც ოსმალოს ჯარს ეჭირა, ხოლო რუსეთს შერჩა კასპიის ზღვის ვიწრო ნაპირიანი პროვინციები: ასტრაბადი და მაზანდარანი.

ასე უბედურად დასრულდა ვახტანგ VI-სთვის კავშირი რუსეთის იმპერატორთან. 1724 წლის ხელშეკრულობის შემდეგ უიღბლო მეფეს საქართველოსას აღარ ედგომინებოდა საქართველოში. ისიც აიყარა და მთელის თვისის სახლობით, მხლებლებით და ამალით იმერეთიდან გადავიდა რუსეთს. უნდოდა პეტრე დიდის ხახვა, მაგრამ ცოცხალს ვეღარ აუსწრო და დაბრუნებისას თითონაც გარდაიცვალა ქ. აშტარხანში, სადაც დაასაფლაკეს.

ტრაღიკულად დასრულდა ცხოვრება და მოქალაქობა დიდად განვითარებულის, მაგრამ უხეირო პოლიტიკის მეფე ვახტანგ მეექვსესი. თითქოს ცოტაოა ტახტისა და საქეფოს დაკარგვა, ბედმა არ აკმარა ესა და ცილისწაძებით ძოშხაძა კეთილი განზრახვა მისი—პეტრე დიდთან კავშირით განთავისუფლება საქრისტიანო ქვეყნისა სპარსეთის კლანჭებისაგან და საერთოდ მუსულმანობის ზედგავლენისაგან. ყარაბაღის სომხობამ ცილი დასწამა ვახტანგს, შაძახაში რომ ჩამოვიდა ჯარით, ჩვენ, სომხობა, სიხარულით ცას დაეწიეთ, ვახტანგის მხედრობას მივეგებეთ, წინ შემოსილი საძღვდელოება გავიძღვარეთ და ჯვრითა და ხატებით სალამი ვუძღვენითო. ძიუხედავად ასეთის მეხვედრაძიგებებისა ვახტაგის მხედრობა უდიერად მოგვექცაო. იმედი გვქონდა, რომ ქრისტიანი ძხედრობა ურჯულოთა ხელიდან გვიხსნიდა, ხოლო ამის მაგიერ ჯარმა გაგვძარცვა და ეკლესიები მეგვიგინაო. ასე სჩიოდნენ შემდეგში ყარაბაღელები პეტერბურგის საიმპერატორო კარის წინაშე.

საქართველოს ისტორიის მეთვრამეტე საუკუნის უმთავრეს მომენტების თვალის-გადავლება ნათლად გვიჩვენებს, რომ 1722 წლის კავშირს, 1724 წლის ხელშეკრულობას და 1783 წ. ტრაქტატს, რომლის პირიანად აღსრულებას საქართველო ვერ ეღირსა, უნდა მოჰყოლოდა საქართველოს დაძაბუნება პოლიტიკურად, დროებით შეწყვეტა თავისუფალ ერის არსებობისა. ასეც მოხდა. იმპერატორმა პავლე პირველმა 18 იანვარს 1801 წელს, ესე იგი იმ დროს, როცა პეტერბურგში ცნობა არ იყო მისული უკანასკნელ მეფე გიორგი XIII-ის გარდაცვალებისა, გამოაქვეყნა მანიფესტი საქართველოში მეფობის მოსპობისა, ხოლო მისმა შვილმა ალექსანდრე კურთხეულმა იმავე წლის 12 ენკენისთვეს მანიფესტით ქვეყანას აუწყა.საქართველო სამუდამოდ რუსეთს შეუერთდაო და ამ დღიდან საქართველოში რუსეთის მართვა-გამგეობა მკვიდრდებაო.

საოცარი ამ ამბებში და პოლიტიკის ნაკვთთა და ბლანდებში ის კი არ არის, რომ ძლიერმა სუსტს ლაგამი ამოსდო და ბაგაზე მიაბა, საოცარი ისაა, რომ მამა და შვილი, პავლე და ალექსანდრე, დიდი მომბარენი ყოვნენ მონარქიულ პრინციპისა და ამავე დროს ასე უპატივცემულოდ მოეპყრნენ ბაგრატიონთა დინასტიის ათას წლოვან მეფურ უფლებათ. როგორც იმპერატორი პავლე, აგრეედვე ალექსანდრე კურთხეული ცეცხლს აფრქვევდნენ, ნაპოლეონის კადნიერებას რომ ხედაკდნენ. როგორ თუ ეს ვიღაც კორსიკანელი მეტიჩარა ჩინჩხვარსავით ამტვრევს და ლეწავს საუკუხოებით არსებულ მონარქიათ, როგორ თუ მოხარქნი თავის ნებასურვილით აჰყავს და ჩამოჰყავს ტახტიდან, როგორ თუ ასე უპატივცემულოდ და ხეპრულად ეპყრობა საძღვთო პრინციპს მოხარქიისასო! რაკი ასე ბჭობდნენ და აზროვნობდნენ და სწამდათ, რომ მათი სამღვთო მოვალეობა იყო ბოლო მოეღოთ ნაპოლეონის ნავარდობისათვის, არ მოერიდნენ იმისთანა დიდ საქმეს, როგორიცაა ომი. მონარქიულ პრიბციპის გასამარჯვებლად პავლე პირველმა ცეცხლი და ძახვილი შეიტანა იტალიასა, შკეიცარიასა და ავსტრიაში, ხოლო ალექსანდრე პირველმა იმავე ავსტრიასა და პრუსიაში. ვიმეორებთ, საოცარი ისაა, რომ მოტრფიალენი და ერთგული რაინდნი მონარქიზმისა, იმპერატორნი პავლე და ალექსანდრე, როცა საქმე საქართველოს ათასწლოვან ბაგრატიონთა დინასტიაზე მიდგა, სულ სხვა გუხებაზე დადგნენ და მცირე ყოყმანისა და რყევის შემდეგ ორის მანიფესტით ბოლოც მოუღეს საქართველოს თავისუფალ თვითარსებობას და ღვაწლით ძოსილ ბაგრატიონთა დინასტიას ექსორია უყვეს.

თითქოს ცოდო უნდა მოიხანიოსო, პეტრე დიდმა შემოუთვალა ვახტანგ VI-ს, აქ გადმოსახლდი რუსეთში და ოჯახობით მოსკოვში დაგასახლებო. მეტი ჩარა არ იყო, ეს რჩევა უნდა მიეღო ვახტანგს, აიყარა და გადასახლდა რუსეთს სახლობით. დიდ ძალი მხლებელი, ამალა და თანამოაზრე გადაჰყვა ვახტანგს რუსეთში. მისი შვილები საბოლოოდ დასახლდნენ მოსკოვს და მიჰყვეს ხელი მწიგნობრობას და ლიტერატურას. დააარსეს ტიპოგრაფია

და შეუდგნენ ქართულ წიგნების ბეჭდას. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში მოსკოვი შეუმჩნევლად გარდაიქცა ქართულ მწიგნობრობის ცენტრად.

ვახტანგის სახლობის ამალის და მხლებლების გადასახლებას რუსეთში მოჰყვა სხვების წასვლაც; ძნელია გზის გაკვალვა და რაკი გზა გაიკვალა, ქართველობა ბაწარ-ალებით დაადგა მოსკოვის გზას. მაშინდელი ყიზლიარი, მოზდოკი და აშტარხანი პირველი ეტაპნი იყვნენ ქართველებისთვის. აქ ისვეხებდნენ საქართველოდან გადმოხვეწილნი, სულს იბრუნებდნენ დაღალულ-დაქანცულნი და შემდეგ იბნეოდნენ თვალუწვდენელ რუსეთში, ითქვიფებოდნენ და რუსდებოდნენ. ხარკოვის სადგურის უფროსს თ. რატიშვილს რომ ვკითხე—ნუ თუ ქართველად არ მიაჩნია თავი მეთქი, გაიღიმა და მიპასუხა: საიდან სადაო. ს. სოლნცევოში, კურსკის გუბერნიაში, სასოფლო სასაფლაოზე ვიპოვნე ორი საფლავის ქვა. წარწერანი ქვისანი ამტკიცებდნენ, რომ იქ ასაფლავიან ბაგრატიონთ გვარის ქალნი, რომელნიც მიუთხოვებიათ აზნაურ სოლნცევებისათვის. დ. სოლნცევს, მდიდარს და განათლებულს მემამულეს, ბატონ-პატრონს სოფ. სოლნცევოსას, გამოვკითხე ამ ქალების ამბავი და ვერაფერი პასუხი მომცა. მხოლოდ მაჩვენა თვის სასახლეში ერთი ოთახი, სავსე წიგნებით, ნივთებით და იარაღით, რომელიც მზითვად მიჰყოლიათ პატარძლებს*). თუ საიდან გაჩნდნენ ქართველი რძლები სოლნცევიანთ ოჯახში, ან ეცხოთ რამე ქართველური-ღა ამ ქალებს გათხოვებისას, ვერაფერი გამაგებინა დ. სოლნცევმა. ასე ერთის საუკუნის განმავლობაში იშლება და იხოცება ეროვნული სახე.

მეთვამეტე საუკუნის პირველ ნახევარს ჩრდილოეთ კავკასიაში ისე ბლომად შეიკრიბა ქართველობა, რომ შესაძლებელი გახდა დაარსება გუსართა როტისა ქართველთაგან. ქართველმა აზნაურმა ბორის ეგოროვმა (იაგორაშვილი) შეჰკრიბა ერთად დასახლებულნი ყიზლარსა და აშტარხანს თავადაზნაურნი და სთხოვა მთავრობას სამსახურში მიგვიღეო. დედოფალმა ანნა იოანეს ასულმა წყალობით მოისმინა ბორის ეგოროვის თხოვნა და 25 მარტს 1738 წელს უბრძანა სენატს დაეარსებინა გუსართა როტა ქართველთა თავად-აზნაურთაგან.

*) მცირე აღწერილობა ამ ოთახისა და სახელები სოლნცევიანთ რძლებისა უბის წიგნში მკონდა მოქცეული. სამწუხაროდ ეს წიგნი დაიღუპა 22 ოკტ. 1905 წ. ჩვენის ქონების აკლების დროს სასტუმრო „მუხრანში“.

შემდეგში ამ როტას სხვა როტებიც მიემატა, როცა გამრავლდა ქართველთა რიცხვი ქართველ გუსარებს ყმა და მამული უბოძეს პოლტავის გუბერნიაში. ამ გუსართა როტებში მსახურებდა ჩვენი სახელოვანი პოეტი დავით გურამიშვილი და პაპუნა ციციშვილი, პაპა გამოჩენილის საქართველოს მთავარმართველის პავლე დიმიტრის-ძე ციციშვილისა, რომელმაც რუსთა იმპერატორთა ტახტს დაუმორჩილა მთელი ამიერ-კავკასია ოთხის წლის განმავლობაში (1802—1806 წ.) და რომელიც ვერაგულად მოჰკლეს ბაქოში 6 თებერვალს 1806 წ.

ამ მოკლე ისტორიულის მიმოხილვიდან ნათლად სჩანს, თუ საიდან და როგორ გაჩნდნენ ასე ბლომად რუსეთში ჩვენი თანამემამულენი: ერისთვიანი, რატიშვილები, იაშვილები, ფანჩულიძენი, ტუსიშვილები, თარხან-მოურავები, ციციშვილები, მიქელაძენი, წერეთლები (ცერტელევი), ლაშქარაშვილები (ლაშკაროვი), თულაშვილები (ცნობილ პუბლიცისტის მ. ნ. კატკოვის დედა თულაანთ ქალი იყო), იმერეტინსკები (ბატონიშვილი კონსტანტინ დავითის ძის შთამომავალნი) და სხვანი.

პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის შტო დამტკიცებულია რუსეთის თავადად იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ 1803 წელს 4 ოკტომბერს და შეტანილია რუსეთის საერთო გერბოვნიკში.

რომ უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოვიდგინოთ პეტრე ბაგრატიონის წინაპარნი, მოვიყვანთ აქვე შთამომავლობის ხეს.



პეტრე ივანეს ძის შვილის შვილი დ. ბ. ბაგრატიონი გენერალ-მაიორია და ცნობილია როგორც ნიჭიერი სამხედრო მწერალი.

ალ. ფრონელი.

კახეთის რკინის გზა

კახეთის რკინის გზაზე, რომელიც გადახლართულია ჩვენ ქონებრივ და კულტურულ ინტერესებთან, ხშირად ულაპარაკნიათ ადგილობრივ პრესაში, მაგრამ ზოგი მხარეები და ეხლანდელი მდგომარეობა ამ საქმისა მაინც გამოურკვეველია ჩვენ საზოგადოებისათვის, ამიტომ მე ვეცდები გადმოგცეთ ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები გზის გაყვანის შესახებ.

ლიანდაგის მიმართულება უკვე დამტკიცებულია გზის გამკეთებლებისაგან, მოწონებულია მთავრის ინსპექციის მიერ და ცვლილების მოხდენა პატარ-პატარა წვრილმანებშიღა შეიძლება, ისიც შიგნით კახეთის საზღვრებში, სადაც შესაძლოა ლიანდაგმა ალაგ-ალაგ გზა აუხვიოს ნაგულისხმევ მიმართულებას ზოგიერთა ვენახის წყალობით, რომლის შესყიდვა სიძვირისა გამო ვერა ხერხდება.


ოიანეთი
ბაკანი
ვაკაკი
ნაფარეულები
ახმეტა
ბოდბე
ბოდბისა
ბოდბეს
ბოდბეს
ბოდბეს

ლი წესდების შეცვლა, საზოგადოება ოფიციალურად შეუდგა გზის შენებას და მუშაობა ორხევისა და იორის შორის ძლიერ წინ წასწია, მიუხედავად იმისა რომ მონარდეები უჩივიან მუშა ხელის ნაკლებულობას და სიძვირეს მინდვრის მუშაობის გამო.

მრავალი სამუშაო უკვე გაცემულია ნარდად. მაგალითად მიწის სამუშაო, ბეჭებისა, ბურჯებისა და ხიდების ქვის საძირკვლების გაკეთება.

მონარდეებად შემდეგი პირები არიან: პირველ ნაწილში ბ-ნი გრინბერგი და ინჟინერი პერცოვი, მეორე ნაწილში ინჟინერი ოლანეზოვი და მესამეში ბატონი ფონტანო. ეს პირები თავის მხრივ აძლევენ სამუშაოს წვრილ მონარდეებს, რაც, რასაკვირველია სამწუხარო მოვლენას შეადგენს, რადგან საშინლად ამცირებს ნამდვილ მუშების ხელფასს.

სამწუხაროდ ამისთანა მდგომარეობას მთელი რუსეთში აქვს ფეხი გადგმული; აქ მუშების ამხანაგობათ თითქმის არასოდეს არ ანდობენ სამუშაოს, რაც ცუდად მოქმედობს თვით ნაშრომის ღირსებაზედაც.

რკინის ხიდების გაკეთება ნაკისრი აქვს ბრიანსკის ქარხანას, რომელიც ერთი უდიდესთაგანია მთელ რუსეთში.

მეტ ნაწილს სალიანდაგო კოჭებისას ვოლგიდან მოზიდავენ ბაქოს მხრით, რადგანაც საჯარო ვაჭრობაში ვოლგური სალიანდაგო კოჭების ფასი უფრო ნაკლები აღმოჩნდა ადგილობრივზე; ეს მოვლენა ჩვენთვის სასიხარულოც უნდა იყოს, რადგან ბაზრული ფასი შპალებისა საზოგადოდ დიდი არ არის; სალიანდაგო კოჭების გაკეთების დროს კი ბევრი ნაჭერი რჩება ხოლმე, ლპ ბა უგზოობისა და გადატანის სიძვირის გამო. ამ რიგად იღუპება დიდი ნაწილი ძვირფასი ხე-ტყისა (მუხისა და წიფლისა). ორი წლის შემდეგ კი, ე. ი. როცა რკინის გზას გაიყვანენ, იგივე ხე-ტყე შეიძლება მოლად გამოიყენოს ადამიანმა ან კლიოჭკად ან შეშად და სხ.

ერთი წლის შემდეგ ჩამოვა მთელი წყება ვაგონებისა და ორთქლმავალებისა, რაც მოგვისწრაფებს დროებით მისვლა-მოსვლის დასაწყისს 1914 წლის თავისათვის. მთელი გზა კი დასრულდება სამი წლის განმავლობაში, 1912 წლის მკათათვის 17-დან რომ ვიანგარიშოთ.

აი ის მოკლე ცნობები კახეთის რკინის გზის გაკეთებისა, რომლებიც, მგონია, ჯერ არ ყოფილან აღნიშნულნი პრესაში და ინტერესს მოკლებულნი არ არიან კახეთის მცხოვრებთათვის.

ი. მ.—ი.

პრესა

არჩევნებმა აიძულეს ჩვენი პრესსა მრავალი რთული საკითხი დაეუნებინა მკითხველის წინაშე. დავა იმაზე არის აშდილი თუ რომელ პარტიას უფრო მეტი უფლება აქვს თავისი კანდიდატი გაიყვანოს სათათბიროში. ამ საკითხს უველაზედ კარდინალურად შეეხო გ. მ. გაზეთ „კოლხიდაში“. საარჩევნო საქმე ჩვენში ერთი გარემოებითაც არის გართულებული. საქართველო რომ დიდი ქვეყანა იყოს, რომელსაც გაცილებით მეტი წარმომადგენელი ეყოლებოდა სათათბიროში, მაშინ პარტიათა შორის ბრძოლა უფრო განელებული იქნებოდა. ყოველ პარტიას ექმნებოდა თავისი მაგარი ბეჭე, ესა თუ ის კუთხე ჩვენის ქვეყნისა, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი გამარჯვება. უპირველესად ასეთი მდგომარეობა შეექმნიდა საარჩევნო დეცენტრალიზაციას და ატომოსფერა ისე ადარ იქნებოდა გაჟღენთილი როგორც ეს ეხლა არის ჩვენ საარჩევნო ცენტრებში. მეორედ, საარჩევნო ოლქების სიმრავლე, ესე იგი სიმრავლე დეპუტატთა, უფრო საგანგებით გამოხატავდა ჩვენი ცხოვრების მრავალ მიმდინარეობას. მაგრამ ეს ასე არ არის. იძულებული ვართ ყოველ ჩვენ საარჩევნო ოლქში ვიბრძოლოთ თითო დეპუტატისთვის. მთელ ქართლ-კახეთს ჰყავს ერთი დეპუტატი, იმერეთ-გურია-სამეგრელოს, აგრეთვე ერთი და ჩვენ ზღვის ნაპირა მხარესაც ერთი. ვისა აქვს უველაზედ მეტი უფლება, როცა ასეთი სიმტირეა დეპუტატებისა, აი საკითხი, რომელსაც შეეხო გ. მ. თავის წერილებში. მართალია ზემო აღნიშნულ წერილებში სხვა მრავალი პრინციპიალური საკითხებიც არის წამოყენებული, ძველი დავა ძველ პარტიათა შორის, მაგრამ ერთად ერთი რეზიუმე წერილებისა შემდეგია: აქვს თუ არა სოციალდემოკრატიას, როგორც პროლეტარიატის პარტიას, ე. ი. უმცირესობის პარტიას, უფლება წარმომადგენელად იყოს უმრავლესობისა. კითხვა კარდინალურად არის დასმული და ჩვენც უნდა ვსთქვათ, რომ ამის უფლება არა აქვს.

მაგრამ კითხვის ასე დაყენებით ძალა უნებურად იბადება მეორე საკითხი, რომელიც უფრო კარდინალურად სწუველტს პირველს.

არის თუ არა საქართველოში ისეთი მიმართულება, ისეთი პარტია, რომელიც სავსებით გამოხატავდეს მის სურვილებს? კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ ასეთს მიმართულებას ჯერ მხოლოდ უსახურობა ეტყობა

და არ ჩამოყალიბებულა გარკვეულ პროგრამაში. ჩვენის აზრით, ამით არის გამოწვეული ის უცნაური მოვლენაც, რომ ბრძოლა უფრო კანდიდატების პიროვნების გარშემო ტრიალებს ვიდრე მათ მსოფლმხედველობისა (რაც აკვირვებს ალბანახს „არჩევნები“). აწინდელ ორგანიზაციების ძალთა განწყობილება ერთის მხრით და ნამდვილ ამომრჩეველთა მისწრაფებანი მეორეს მხრით ჭქმნიან იმისთანა ატმოსფერას, რომელშიაც უნდა გაიმარჯვოს ეროვნულ დემოკრატიულმა ელემენტებმა, რომ ჩვენი ქვეყნის უმრავლესობა დააკმაყოფილოს.

ვერ მოასწრო ჩვენმა ჟურნალმა გამოსვლა, რომ „ზაკავკმზსკაია რეჩმა“ უკვე „დანოსი“ დასწერა. ჩვენ არ ვიცით ვინ არის ამ სტატიის ავტორი, მაგრამ რომ იგი ჯერ გამოუცდელი და უსუსური ბავშვია, რომელსაც არ ესმის რა განსხვავებაა უბრალო საგაზეთო რეცენზიასა და დასმენას შორის, ეს კი ეტყვის გარეშია. მაგრამ მოუსმინოთ რას სწერს გამოცდილ მეგობრებისაგან გაბრიყვებული ავტორი.

„აგრარულ კომისიის საქმის მწარმოებლის ჩუმ კაბინეტში, ბელინსკის ქუჩაზედ შემუშავდა ახალი პროგრამა, რომელიც იხსნის საქართველოს გარეშე და შინაურ მტრებისაგან“.

ამაზედ უკეთესად მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია „დანოსის“ დაწერა.

ჩვენ არ გვესმის რომ აიძულა ავტორი ამ საშუალებისთვის მიემართა იმ დაწესებულების შესახებ, რომელსაც ჟურნალთან არავითარი კავშირი არა აქვს და არც როდისმე უწერია საქართველოს მტრებისაგან დახსნის პროგრამა.

* * *

„თუ ზაკავკ. „რეჩი“ სცდილობს თავის „დონოსებით“ ფიზიკურად მოუღოს ბოლო ჩვენს ჟურნალს“, „სახალხო გაზეთი“ თავის „ავტორიტეტულ“ გადაჭრილ სიტყვით ამასვე უქადის იდეურის მხრივ.

კლდის პუბლიცისტები „მეწვრილმანე ვაჭრების“ ფსიხოლოგიით გამსჭვალულნი არიანო. „უხეშავნი“, „მეწვრილმანები“, „აპოლიტიკოსნები“ და სხვა.

ამისთანა ფანდების საშუალებით „სახალხო გაზეთმა“,—„კლდის“ პირველ ნომრის გამოსვლისთანავე ამცნო ქართველ საზოგადოებას ჩვენი ჟურნალის „რეაქციონური მიმართულება“ (sic!).

და „რა თქმა უნდა“—ამბობს იგივე „სახალხო გაზეთი“ „სიამოვნებით ვეგებებით ახალ ჯვუფის გამოსვლას საზოგადო ასპარეზზე“.

არ მესიამოვნე—მასიამოვნე...

აფსუს სიამოვნებავ!

მაგრამ ამ „სიამოვნებას“ შემდეგ უფრო დაწვრილებით შევეხებით.

ქალაქის საქმიანობა

ასეთის სათაურით ვეტდები ხშირად მივაწოდო ბატონებულ მკითხველთ სხვა და სხვა ამბები, უფრო ისეთი, რასაკვირველია, რომლებსაც საზოგადო ხასიათი ექნება.

I.

დიდი პოლიტიკანები ეოფილან ჩვენი ქალაქის გამგენი: სულ რვა თვეა გასული, რაც ახალი ხმოსნები აირჩიეს და ამ მოკლე ხანშიაც-კი ორმა ხმოსანმა, ბ.ბ. ათრიანმოვმა და კარა მურზამ, უკვე ხელი აიღეს ხმოსნობაზედ. რათა, რა მიზეზით? იქნება იკითხოთ; დრო არ ჭქონდათ და იმიტომ? არა, ბატონებო, ასეთი საქმე რომ დამართნოდათ, არას ვიტყოდით. ბატონმა კიზირაიმაც დაანება თავი, მაგრამ მან ბევრი საქმის გამოვედარ შესძლო ხმოსნობა და განცხადებაც შეიტანა საბჭოში: სულით და გულით მინდა ვემსახურო ქალაქს, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ იმდენი დრო ადარა მაქვს, რომ შევძლო და ანა რადა ხმოსანი ვიქნები თუ კი ვერას გავაკეთებო. ბ.ბ. ათრიანმოვმა და კარამურზამ-კი თავიანთი გახმოსნობით ქალაქის თვით მართველობაში თბილი ადგილები იშოვნეს და რადგან კანონი ნებას არ აძლევს ერთსა და იმავე დროს ხმოსნადაც იყოს და მოსამსახურედაც, დგანან და ხმოსნობას თავი მიანებეს. ნეტა ვიცოდეთ, რა იმედებს ამყარებდნენ ამომრჩეველები ამისთანა ხმოსნებზედ და ახლა რადას აპირებენ ან ჭვიქრობენ რომ მათმა არჩეულებმა ახლავე ზურგი შეაქციეს. საკვირველია ეს გარემოება უფრო იმ მხრივ, რომ ქალაქის გამგეობა ხელს უწყობს ასეთ ხმოსნებს. რათა? თუ ეს ორი ნახმოსნარი კარგი მუშაკნი არიან და მიტომ მიიღო გამგეობამ, მით უფრო დასანანია, ვინაიდან კარგი მოსაქმენი საბჭოს უფრო დიდს სარგებლობას მოუტანდნენ. მაგრამ არა, აქ მარტო პოლიტიკანობაა და მეტი არაფერი: ის ხმოსნები, რომლებმაც, თეთრი კენჭი მისცეს თ. ალ. მახ. არგუთინსკის, რომლისათვისაც 2 ხმა იყო საკმარო, „მადლობის“ ღირსნი იყვნენ და მანაც გადუხადა თბილი ადგილების მიცემით.

თეძმის პირელი.

კოოპერაცია და ეკონომიური ცხოვრება.

ყავრიშვილის ფერმა.

ჩვენი ქვეყანა მოფენილია საძოვარ ველმინდვრებით, მშვენიერი სათიბებით, როგორც ბარში, ისე მთაში (აგრედ წოდებული ალპიის ზონა). დიდი სიმდიდრითაა დაჯილდოებული ჩვენი მხარე, მაგრამ, როგორც შეეფერება საერთოდ ქართულ დაძაბუნებულ ცხოვრებას, ამ სიმდიდრით ქართველი მეურნე რიგიანად ვერა სარგებლობს. მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში, დანიასა შვეიცარიასა, იტალიასა და ისპანიაში საუცხოოდ იყენებენ მთა-ბარის საძოვრებს და ოქროდ აქცევენ მას მერძეობის და მესაქონლეობის საშუალებით ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ და ბედს მივტირით, რომ არაფერი არა გვაქვს და სიმშილით ვიხოცებით. ამ მხრივ სასიხარულო კონტრასტს წარმოადგენს ნ. ყავრიშვილის ფერმა სოფ. მოხისში (თბილ. მაზრა), რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად დავათვალიერე. შეგნებულ ადამიანს საუცხოოდ მოუწყვია თავისი საქმე და წასაბაძ მაგალითს წარმოადგენს მისი ფერმა, მოკლებული ყოველ გვარ სარეკლამო ხასიათს.

პატარა ფერმა მოწყობილია 50 ძროხისათვის; სუფთად და კოხტად გამოიყურება ვეება ბოსელი ალგეთის ქვის იატაკით. ყოველ ძროხას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და საკუთარი საბმელი ჯაჭვი უკიდია ბაგაზედ.

დავათვალიერე დარბაზიც, სადაც გამწკრივებული იყვნენ ბრჭყვიალა სარძეე მანქანები, სეპარატორები, ჭურჭელი და სხ. მათი საშუალებით ფერმერი ნ. ყავრიშვილი კარაქი აკეთებს და ჰყიდის დაბა მანგლისში გირვანქას 55 კ.

მანგლისში ყავრიშვილის კარაქს. საუკეთესოდ ითვლება და დიდი გასავალიცა აქვს.

საერთოდ. ბ. ყავრიშვილის ფერმა ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზედ. შედეგი კი ხომ-მარტო სარგებლობაა.

კარგი იქნება რომ ბევრმა სხვამაც ამ ნაირ მაგალითებს მიბაძოს ამითი თითონაც ისარგებლოს და სამშობლო მხარესაც შეუწყოს ხელი გამდიდრების საქმეში.

მგზავრი.

ქსნის მერძევეთა ამხანაგობა „ანკარა“.

ჯერ ერთი წელიწადიც არ არის, რაც ქსანზედ დაარსდა ამხანაგობა „ანკარა“. ამხანაგობის წევრთა რიცხვის სიმცირის და თანხის მიხედვით, რომლითაც დაიწყო არსებობა, მან საკაო ნაყოფი გამოიღო. მას უკვე ჰყავს ცხრა მეწველი ძროხა და ყოველ დღე სისტემატიურად აწვდის რძეს თბილისს, სადაც თავისი საკუთარი კანტორაცა აქვს. ამხანაგობას განუზრახავს ცოტა უფრო ფართო ნიადაგზე დააყენოს მერძევობის საქმე, რისთვისაც დახმარებაა საჭირო. იმედია, ის საზოგადოებანი, რომელთაც თანხის ბაკომ შეუძლიათ უყურადღებოთ არ დასტოვებენ მას და მით ხელს შეუწყობენ ამ სასარგებლო საქმის გაჩაღებას.

მერძევეთა ამხანაგობა „ლილო“.

13 მაისიდან 1 ენკენისთვემდინ ამხანაგობის გამგეობამ მიიღო წევრებისაგან 871 ფუთი 37 გ. რძე; გაყიდა თბილისში 1395 მ. და 8 კაპიკისა. ხარჯი ჰქონდა—288 მ. 15 კ; წევრებს დაურიგა 1057 მ. 91 კ.

ამხანაგობაში ითვლება 42 წევრი, 50 ძროხით.

რუსეთში ჩქარის ნაბიჯით იზრდება წვრილი კრედიტის საქმე: 1904 წ. იყო სულ 6,228 დაწესებ.
1906— 7,090
1908— 8,658
1911—12,419

ამათ გარდა 1909 იანვრისათვის იყო კიდევ 1,338 გმინის კასსა პოლონელ გუბერნიებში.

ასეთი სწრაფი ზრდა წვრილი კრედიტისა ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ვითარდება გლეხის მეურნეობა.

ნარევი.

○ უკანა'კნელ დროს სტოჰოლმში საპედაგოგო საზოგადოებათ მშვენიერი ჩვეულება შემოუღია—მოსწავლეთ ზაფხულობათ ჯგუფ-ჯგუფად ასწავლიან სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მუშაობას. ეს ბევრად უკეთესად მოქმედობს თურმე ჯანმრთელობაზედაც და შეგნებაზედაც, ვიდრე აქამდის გაბატონებული გიმნასტიკა. კარგი იქნებოდა ჩვენს პედაგოგებსაც მიექციათ ამისათვის ყურადღება და ბავშობიდანვე შეეყვარებინათ მოსწავლეთათვის ბუნებასთან სიახლოვე და პრაკტიკული ცოდნა ყოველგვარ მეურნეობისა.

○ ერთ ამერიკელ მეცნერს გამოუგონია მიწის გადასაბრუნებელი მანქანა, რომელიც არა მარტო იღებს ზედაპირს, არამედ ნიადაგსაც და ერთი მეორის ადგილას ჰყრის. ესეთი მანქანა უეჭველია გაიაფებს ძვირად ღირებულ მიწის გადაბრუნებას.

○ მეცნიერული „ჰიპნოლოგიის საზოგადოება“, რომელიც რამდენიმე წელიწადია რაც დაარსდა პარიზში, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს სასწაულების შესწავლას. მისი საუკეთესო წევრები და ნამეტნავად დოქტორი ფელიქს რენიო ამტკიცებენ, რომ უმეტესი ნაწილი სასწაულებისა, რომელთა ისტორიას ჩვენამდე მოუღწევიათ საბერძნეთიდგან, ებრაელებისაგან, ქრისტესა, მაჰმადისა და მოციქულებისაგან—მტკნარი სიცრუე კი არ არის, არამედ ჰიპნოტიზმის შედეგიაო.

სასარგებლო წიგნები

Мелкое земледѣліе и его основныя нужды.—проф. А. И. Чупрова изд. Г. Ѳ. Львовича.

Сельскохозяйственная кооперація—В. Ѳ. Тотоміанца.

По чужимъ землямъ—С. Т. Семенова. Москва, Арбатъ д. Тѣстовыхъ, издат. „Посредникъ“ ფასი 30 კ.

„იაფი სეხნის საჭირო ება სოფლად“—ს. კახელაძე, ეურ. „მ საკლი“ 1911 წ. №№ 1, 2 3, 4, 5.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

განცხადებანი

„კოოპერაცია“

სასალხო საკოოპერაციო და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი.

ჟურნალი „კოოპერაცია“ დამატებით ღირს წლიურად 3 მ. ნახევარ წლით 1 მ. 75 კ. „**შრომის კავშირი**“—წლიურად 2 მ. 50 კ. ნახევარი წლით 1 მ. და 50 კ. **რედაქცია მოუწოდებს მომხმარებელ, საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს** დაიკვეთონ „**შრომის კავშირი**“ ხალხში გასაცერელებლად. ფულის გამოგზავნა შეძლება მერე. ადრესი: г. Кутаисъ редакціи журналовъ „Кооперація“ и „Шромисъ кавшири.“.

ქ. **გორში** გამოდის ყოველდღიური საოლიტერატურო, სავაჭრო-სამეურნეო **სასოფლო** გაზეთი

„ქ ა რ თ ლ ი“

ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით.

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ

გაზეთი წლიურად ღირება	5 მ.
„ ნახევარის წლით	2 მ. 60 კ.
„ სამი თვით	1 მ. 50 კ.
„ ერთი თვით	45 კ.

უ დ ა მ ა ტ ე ბ ო თ

გაზეთი წლიურად ეღირება	4 მან.
„ ნახევარის წლით	2 მ. 30 კ.
„ სამი თვით	1 მ. 20 კ.
„ ერთი თვით	55 კ.

ცალკე ნომერი დამატებით ყველგან 5 კაპ. უდამატებოთ 3 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი «ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და **უდამატებოდ**. შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველღიური იქნება.

რედაქტორგამომცემელი ი. **ეკალაძე-ცინცაძე**.

მისამართი: **ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს**. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა **1912 წლისათვ ს.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ ღა არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

I ენკენისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეშე).

საზღვარ-გარეშე თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „ვრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გად ხდილი იყოს

პ ი რ ვ ე ლ ი ვ ლ ი ს ა მ დ ე.

სტამბა კალანდაძისა გაბაანთ შესახ. № 4.